NATO
OTAN



# ნატოს 2022 წლის სტრატეგიული კონცეფცია

მიღებულია სახელმწიფოთა და მთავრობათა
მეთაურების მიერ 2022 წლის 29 ივნისს ქ.
მადრიდში ჩატარებულ ნატოს სამიტზე

# შესავალი

ჩვენ, ნატოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურები და მთავრობათა მეთაურები, ვიკრიბებით მადრიდში ჩვენი უსაფრთხოების და საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობისთვის კრიტიკულ დროს. დღეს ჩვენ ვამტკიცებთ ახალ სტრატეგიულ კონცეფციას, რაც მიმართულია იქითკენ, რომ ჩვენმა ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა მომავალშიც გააგრძელოს მოთხოვნების დაკმაყოფილება და უზრუნველყოფილი იყოს რესურსებით.

სამოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ნატო უზრუნველყოფდა მისი წევრი ქვეყნების თავისუფლებასა და უსაფრთხოებას. ჩვენი წარმატება იმ ქალებისა და მამაკაცების მიერ გაწეული სამსახურისა და თავგანწირვის შედეგია, რომლებიც ჩვენს შეიარაღებულ ძალებში ირიცხებიან. ჩვენ დიდ ვალში ვართ უშუალოდ მათი და მათი ოჯახების წინაშე.

ჩვენ კვლავაც მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი დავიცვათ ჩვენი მილიარდი მოქალაქე, დავიცვათ ჩვენი ტერიტორია, დავიცვათ ჩვენი თავისუფლება და დემოკრატია. ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს ერთიანობას, კავშირსა და სოლიდარობას, რომელიც დაფუძნებულია ჩვენს ქვეყნებს შორის მყარ ტრანსატლანტიკურ კავშირზე და ჩვენი საერთო დემოკრატიული ღირებულებების სიძლიერეზე. ჩვენ, კიდევ ერთხელ, ვადასტურებთ ჩვენს ურყევ ერთგულებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მიმართ და რომ დავიცვათ ერთმანეთს ყველანაირი საფრთხისგან, საიდანაც უნდა მოდიოდეს ის.

ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას სამართლიანი, ყოვლისმომცველი და ხანგრძლივი მშვიდობისთვის და დავრჩებით წესებზე დამყარებული საერთაშორისო წესრიგის საყრდენად. ჩვენ შევინარჩუნებთ გლობალურ მიდგომას და მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ჩვენს პარტნიორებთან, სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა ევროკავშირი და გაერო, რათა ხელი შევუწყოთ საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

ჩვენი მსოფლიოსთვის დამახასიათებელია კონკურენცია და არაპროგნოზირებადობა. რუსეთის ფედერაციის აგრესიულმა ომმა უკრაინის წინააღმდეგ შეარყია მშვიდობა და მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი უსაფრთხოების გარემო. რუსეთის სასტიკმა და უკანონო შეჭრამ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კიდევ ერთხელ დარღვევამ და საზარელმა თავდასხმებმა და სისასტიკემ გამოიწვია ენით აღუწერელი ტანჯვა და ნგრევა. ძლიერი და დამოუკიდებელი უკრაინა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროატლანტიკური ზონის სტაბილურობისთვის. მოსკოვის ქცევა ასახავს რუსეთის აგრესიული ქმედებების ნიმუშს მისი მეზობლებისა და უფრო ფართო ტრანსატლანტიკური საზოგადოების წინააღმდეგ. ჩვენ ასევე ვაწყდებით ტერორიზმის მუდმივ საფრთხეს მისი ყველა ფორმითა და გამოვლინებით. ფართოდ გავრცელებული არასტაბილურობა, სტრატეგიული მეტოქეობის გაძლიერება და ავტორიტარიზმის ზრდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინტერესებსა და ღირებულებებს გამოწვევის წინაშე აყენებს.

ჩვენი ახალი სტრატეგიული კონცეფცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნატოს მთავარი მიზანია ჩვენი კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფა 360 გრადუსიანი

მიდგომის საფუძველზე. ის განსაზღვრავს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამ ძირითად ამოცანას: შეკავება და თავდაცვა; კრიზისების პრევენცია და მართვა და უსაფრთხოება თანამშრომლობის საფუძველზე. ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმის აუცილებლობას, რომ მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ ჩვენი შეკავება და თავდაცვა, როგორც მე-5 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების საფუძველი, რომელიც ერთმანეთის დაცვას გვავალდებულებს.

ნატოს ბირთვული შესაძლებლობების მთავარი მიზანია მშვიდობის შენარჩუნება, იძულების თავიდან აცილება და აგრესიის შეკავება. სანამ ბირთვული იარაღი იარსებებს, ნატო დარჩება ბირთვულ ალიანსად. ნატოს მიზანია ყველასთვის უფრო უსაფრთხო სამყარო; ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ უსაფრთხოების გარემო მსოფლიოსთვის ბირთვული იარაღის გარეშე.

სტრატეგიულ კონცეფციაში ხაზგასმულია ის,, რომ ჩვენი ეროვნული და კოლექტიური მდგრადობის უზრუნველყოფას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ყველა ძირითადი ამოცანისთვის და ემყარება ჩვენს ძალისხმევას, დავიცვათ ჩვენი ქვეყნები, საზოგადოებები და საერთო ღირებულებები. მასში ასევე ხაზგასმულია ტექნოლოგიურ ინოვაციებში ინვესტირების მნიშვნელობა და კლიმატის ცვლილების, ადამიანის უსაფრთხოებისა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის გათვალისწინება ჩვენს ყველა ძირითად ამოცანაში.

ჩვენი ხედვა ნათელია: გვსურს ვიცხოვროთ მსოფლიოში, სადაც პატივს სცემენ სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, ადამიანის უფლებებსა და საერთაშორისო სამართალს და სადაც თითოეულ ქვეყანას შეუძლია აირჩიოს თავისი გზა, რომელიც თავისუფალია აგრესიისგან, იძულებისგან ან დივერსიისგან. ჩვენ ვთანამშრომლობთ ყველასთან, ვინც იზიარებს ამ მიზნებს. ჩვენ, როგორც მოკავშირეები, ერთად ვდგავართ იმისთვის, რომ დავიცვათ ჩვენი თავისუფლება და წვლილი შევიტანოთ უფრო მშვიდობიანი მსოფლიოს არსებობაში.

## მიზანი და პრინციპები

1. ნატოს მტკიცე მიზანია დაიცვას თავისი წევრი ქვეყნების თავისუფლება და უსაფრთხოება. მისი მთავარი მიზანი და ყველაზე მთავარი მოვალეობაა უზრუნველყოს ჩვენი კოლექტიური დაცვა ყველა საფრთხისგან ყველა მიმართულებით. ჩვენ ვართ თავდაცვითი ალიანსი.

2. ტრანსატლანტიკური კავშირი ჩვენს ქვეყნებს შორის აუცილებელი პირობაა ჩვენი უსაფრთხოებისთვის. ჩვენ გვაერთიანებს საერთო ღირებულებები: ინდივიდუალური თავისუფლება, ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა. ჩვენ ვრჩებით მტკიცედ ერთგულნი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მიზნებისა და პრინციპების მიმართ.

3. ნატო წარმოადგენს კონსულტაციის, კოორდინაციისა და ჩვენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებაში ღონისძიებების განხორციელების უნიკალურ, მნიშვნელოვან და შეუცვლელ ტრანსატლანტიკურ ფორუმს. ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს ალიანსს, რომელიც ეფუძნება ჩვენს განუყოფელ უსაფრთხოებას, სოლიდარობას და ერთმანეთის დაცვის მტკიცე ვალდებულებას, როგორც ეს გათვალისწინებულია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლით. ჩვენი შეკავებისა და თავდაცვის უნარი წარმოადგენს ამ ვალდებულების საფუძველს.

4. ნატო გააგრძელებს სამი ძირითადი ამოცანის განხორციელებას: შეკავება და თავდაცვა; კრიზისების პრევენცია და მართვა და თანამშრომლობითი უსაფრთხოება. ეს ამოცანები ავსებს ერთმანეთს, რაც მიზნად ისახავს ყველა წევრი ქვეყნის კოლექტიური თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

5. ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ მდგრადობას და გავაუმჯობესებთ ჩვენს ტექნოლოგიურ უპირატესობას. ამ ძალისხმევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ძირითადი ამოცანების შესრულებისთვის. ჩვენ ხელს შევუწყობთ კარგ მმართველობას და გავითვალისწინებთ კლიმატის ცვლილებას, ადამიანის უსაფრთხოებას და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგს ჩვენს ყველა ამოცანაში. ჩვენ გავაგრძელებთ გენდერული თანასწორობის, როგორც ჩვენი ღირებულების ასახვის, ხელშეწყობას.

## სტრატეგიული გარემო

6. ევროატლანტიკურ რეგიონში მშვიდობა არ არის. რუსეთის ფედერაციამ დაარღვია ის ნორმები და პრინციპები, რამაც ხელი შეუწყო სტაბილური და პროგნოზირებადი ევროპული უსაფრთხოების წესრიგის შექმნას. ჩვენ იგნორირებას ვერ გავუკეთებთ წევრი ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის შესაძლებლობას. სტრატეგიული კონკურენცია, ფართოდ გავრცელებული არასტაბილურობა და პერიოდული რყევები განსაზღვრავს ჩვენი უსაფრთხოების ფართო გარემოს. საფრთხეები, რომელთა წინაშეც ვდგავართ, გლობალური და ურთიერთდაკავშირებულია.

7. ავტორიტარული აქტორები ეჭვქვეშ აყენებენ ჩვენს ინტერესებს, ღირებულებებს და დემოკრატიული ცხოვრების წესს. ისინი ინვესტიციას დებენ თანამედროვე კონვენციურ, ბირთვულ და სარაკეტო შესაძლებლობებში გამჭვირვალობის თითქმის არარსებობისა და საერთაშორისო ნორმებისა და ვალდებულებების გათვალისწინების გარეშე. სტრატეგიული კონკურენტები ამოწმებენ ჩვენს მედეგობას და ისწრაფვიან ჩვენი ქვეყნების ღიაობის, ურთიერთკავშირისა და დიგიტალიზაციის გამოყენებისკენ. ისინი ერევიან ჩვენს დემოკრატიულ პროცესებსა და ინსტიტუტებში და ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას ჰიბრიდული ტაქტიკის მეშვეობით როგორც უშუალოდ, ასევე ნდობით აღჭურვილი პირების მეშვეობით. ისინი ახორციელებენ მავნე ქმედებებს კიბერსივრცეში და კოსმოსში, ხელს უწყობენ დეზინფორმაციულ კამპანიებს, იყენებენ მიგრაციას საკუთარი მიზნებისთვის, ახდენენ ენერგომომარაგებით მანიპულირებას და მიმართავენ ეკონომიკურ იძულებას. ეს აქტორები ასევე ასრულებენ წამყვან როლს მრავალმხრივი ნორმებისა და ინსტიტუტებისთვის ძირის გამოთხრისა და მმართველობის ავტორიტარული მოდელების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებულ მიზანმიმართულ ძალისხმევაში.

8. რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან და პირდაპირ საფრთხეს ნატოს წევრი ქვეყნების უსაფრთხოებისთვის, ასევე ევროატლანტიკურ ზონაში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის. ის ცდილობს იძულების, დივერსიის, აგრესიისა და ანექსიის გზით გავლენისა და პირდაპირი კონტროლის სფეროების ჩამოყალიბებას. რუსეთი იყენებს ჩვეულებრივ, კიბერ და ჰიბრიდულ საშუალებებს ჩვენსა და ჩვენი პარტნიორების წინააღმდეგ. რუსეთის რიტორიკა, იძულებისკენ მიმართული სამხედრო პოტენციალი და დადასტურებული მზადყოფნა გამოიყენოს ძალა თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ძირს უთხრის ნორმებზე დამყარებულ საერთაშორისო წესრიგს. რუსეთის ფედერაცია ახდენს ბირთვული ძალების მოდერნიზებას და აფართოებს ორმაგი დანიშნულების მიწოდების ახალ და დესტრუქციულ სისტემებს, ხოლო ბირთვული იარაღის საფრთხეს იძულების მიზნით იყენებს. მისი მიზანია ჩვენგან აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ქვეყნების დესტაბილიზაცია. ჩრდილოატლანტიკური გაერთიანებისთვის სტრატეგიულ გამოწვევას წარმოადგენს რუსეთის შესაძლებლობა, შეაფერხოს მოკავშირეთა ძალების ზრდა უკიდურეს ჩრდილოეთში და თავისუფალი ნაოსნობა ჩრდილოეთ ატლანტიკის გავლით. მოსკოვის სამხედრო ძალის ზრდა, მათ შორის, ბალტიის, შავი და ხმელთაშუა ზღვების რეგიონებში ბელარუსთან სამხედრო ინტეგრაციასთან ერთად, გამოწვევას წარმოადგენს ჩვენი უსაფრთხოებისა და ინტერესებისთვის.

9. ნატო არ ისწრაფვის კონფრონტაციისკენ და არ უქმნის რაიმე საფრთხეს რუსეთის ფედერაციას. ჩვენ გავაგრძელებთ რეაგირებას რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე და მტრულ ქმედებებზე ერთიანად და პასუხისმგებლობით. ჩვენ მნიშვნელოვნად გავაძლიერებთ შეკავებას და თავდაცვას ყველა წევრი ქვეყნისთვის, გავაუმჯობესებთ ჩვენს მდგრადობას რუსული იძულების მიმართ და მხარს დავუჭერთ ჩვენს პარტნიორებს მავნე ჩარევასა და აგრესიასთან ბრძოლაში. რუსეთის მტრული პოლიტიკისა და ქმედებების გამო ჩვენ ვერ ჩავთვლით პარტნიორად რუსეთის ფედერაციას. მიუხედავად ამისა, ჩვენ კვლავინდებურად მზად ვართ, შევინარჩუნოთ ღია კავშირის არხები მოსკოვთან რისკების მართვისა და შემცირების, ესკალაციის თავიდან აცილებისა და

გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით. ჩვენ ვისწრაფვით ევროატლანტიკურ რეგიონში და ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სტაბილურობისა და პროგნოზირებადობის უზრუნველყოფისკენ. ჩვენს ურთიერთობაში ნებისმიერი ცვლილება დამოკიდებულია იმაზე, შეწყვეტს თუ არა რუსეთის ფედერაცია თავის აგრესიულ ქმედებას და სრულად დაიცავს თუ არა საერთაშორისო სამართალს.

10. ტერორიზმი ყველა მისი ფორმითა და გამოვლინებით წარმოადგენს ყველაზე პირდაპირ ასიმეტრიულ საფრთხეს ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებისთვის და საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის. ტერორისტული ორგანიზაციები ისწრაფვიან თავს დაესხან ან სხვები წაახალისონ თავს დაესხან ნატოს წევრ ქვეყნებს. ისინი აფართოებენ თავიანთ ქსელებს, აძლიერებენ თავიანთ შესაძლებლობებს და ინვესტირებას ახდენენ ახალ ტექნოლოგიებში, რათა გააფართოვონ თავიანთი წვდომა და გაზარდონ თავიანთი თავდასხმებით გამოწვეული ლეტალობა. არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფები, მათ შორის ტრანსნაციონალური ტერორისტული ქსელები და სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი აქტორები, აგრძელებენ კონფლიქტისა და სუსტი მმართველობის გამოყენებას გადაბირების, მობილიზებისა და თავიანთი პლაცდარმის გაფართოების მიზნით.

11. კონფლიქტები, დაუცველობა და არასტაბილურობა აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში პირდაპირ გავლენას ახდენს ჩვენს უსაფრთხოებაზე და ჩვენი პარტნიორების უსაფრთხოებაზე. ნატოს სამხრეთით მდებარე რეგიონები, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკისა და საჰელის რეგიონები, უსაფრთხოების, დემოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების წინაშე დგანან. მათ ამძაფრებს კლიმატის ცვლილების, ინსტიტუტების არასტაბილურობის, ჯანდაცვის სფეროში საგანგებო სიტუაციების და სასურსათო დაუცველობის გავლენა. ეს ვითარება ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის არასახელმწიფო შეიარაღებული დაჯგუფებების, მათ შორის ტერორისტული ორგანიზაციების გამრავლებისთვის. ის ასევე საშუალებას აძლევს სტრატეგიულ კონკურენტებს განახორციელონ ჩარევა დესტაბილიზაციისა და იძულების მიზნით.

12. ფართოდ გავრცელებული არასტაბილურობის შედეგებია ძალადობა მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, მათ შორის კონფლიქტთან დაკავშირებულ სექსუალური ძალადობა, ასევე თავდასხმები კულტურულ ფასეულობებზე და გარემოზე ზიანის მიყენება. ეს იწვევს მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას, ხელს უწყობს ადამიანებით ვაჭრობასა და არალეგალურ მიგრაციას. ეს ტენდენციები ქმნის სერიოზულ ტრანსნაციონალურ და ჰუმანიტარულ პრობლემებს. ისინი ძირს უთხრის ადამიანისა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას და არაპროპორციულ გავლენას ახდენს ქალებზე, ბავშვებსა და უმცირესობათა ჯგუფებზე.

13. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (ჩსრ) მიერ განცხადებული ამბიციური მიზნები და იძულების პოლიტიკა გამოწვევებს უქმნის ჩვენს ინტერესებს, უსაფრთხოებას და ღირებულებებს. ჩინეთის სახლხო რესპუბლიკა იყენებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ინსტრუმენტების ფართო სპექტრს, რათა გააფართოვოს თავისი გლობალური გავლენა და მოახდინოს ძალების პროეცირება ისე, რომ არ უზრუნველყოს გამჭვირვალობა თავისი

სტრატეგიის, განზრახვებისა და სამხედრო გაძლიერებასთან დაკავშირებით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მავნებლური ჰიბრიდული და კიბეროპერაციები, ასევე მისი კონფრონტაციული რიტორიკა და დეზინფორმაცია, რომლის სამიზნეს ნატოს წევრი ქვეყნები წარმოადგენენ, ზიანს აყენებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოებას. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ესწრაფვის კონტროლის დამყარებას მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ და ინდუსტრიულ სექტორებზე, კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურაზე, ასევე სტრატეგიულ მასალებსა და მიწოდების ჯაჭვზე. ის ასევე ესწრაფვის შეარყიოს წესებზე დამყარებული საერთაშორისო წესრიგი, მათ შორის, კოსმოსურ, კიბერნეტიკულ და საზღვაო სფეროებში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება და ორმხრივად მზარდი მცდელობა, შეარყიონ წესებზე დამყარებული საერთაშორისო წესრიგი, ეწინააღმდეგება ჩვენს ინტერესებსა და ფასეულობებს.

14. ჩვენ კვლავინდებურად ღია ვართ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის, მათ შორის ურთიერთგამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად. ჩვენ ვიმუშავებთ ერთად პასუხისმგებლობით როგორც ორგანიზაციის წევრები, რათა დავუპირისპირდეთ ჩინეთის რესპუბლიკის მიერ ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის შექმნილ სისტემურ გამოწვევებს და უზრუნველვყოთ ნატოს მდგრადი შესაძლებლობები წევრი ქვეყნების თავდაცვისა და უსაფრთხოების გარანტირებასთან დაკავშირებით. ჩვენ ავიმაღლებთ ჩვენს საერთო ცნობიერებას, გავაუმჯობესებთ ჩვენს გამძლეობასა და მზადყოფნას და განვახორციელებთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ გამოყენებული იძულების ტაქტიკისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაყოფის მცდელობებისგან დაცვას. ჩვენ დავიცავთ ჩვენს საერთო ფასეულობებსა და წესებზე დამყარებულ საერთაშორისო წესრიგს, მათ შორის ნაოსნობის თავისუფლებას.

15. კიბერსივრცე მუდმივად გამოწვევის წინაშე დგას. მავნე აქტორები ცდილობენ დააზიანონ ჩვენი კრიტიკული ინფრასტრუქტურა, ხელი შეუშალონ ჩვენს სახელმწიფო სამსახურებს, მოიპოვონ დაზვერვა, მოიპარონ ინტელექტუალური საკუთრება და შეაფერხონ ჩვენი სამხედრო საქმიანობა.

16. სტრატეგიული კონკურენტები და პოტენციური მოწინააღმდეგეები ინვესტირებას ახდენენ ტექნოლოგიებში, რამაც შეიძლება შეზღუდოს ჩვენი წვდომა კოსმოსზე და მასში მოქმედების თავისუფლება, შეასუსტოს ჩვენი კოსმოსური პოტენციალი, სამიზნედ ამოიღოს ჩვენი სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურა და ძირი გამოუთხროს ჩვენს თავდაცვას და ზიანი მიაყენოს ჩვენს უსაფრთხოებას.

17. ახალი და გამრღვევი, ინოვაციური ტექნოლოგიები ქმნიან როგორც შესაძლებლობებს, ასევე რისკებს. ისინი ცვლიან კონფლიქტების ხასიათს და იძენენ მეტ სტრატეგიულ მნიშვნელობას, რომლებიც გლობალური კონკურენციის ძირითად სფეროებად იქცევიან. ტექნოლოგიური

უპირატესობა სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს ბრძოლის ველზე წარმატების მიღწევაზე.

18. შეიარაღების კონტროლის, განიარაღებისა და გაუვრცელებლობის არქიტექტურის რღვევა უარყოფითად აისახება სტრატეგიულ სტაბილურობაზე. რუსეთის ფედერაციის მიერ ჩადენილმა დარღვევებმა და შეიარაღების კონტროლის სფეროში ნაკისრი ვალდებულებებისა და მოვალეობების შერჩევითმა განხორციელებამ გამოიწვია უსაფრთხოების უფრო დიდი ლანდშაფტის გაუარესება. ნატოს წინააღმდეგ ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული მასალების ან იარაღის პოტენციური გამოყენება მტრული სახელმწიფო და და არასახელმწიფო აქტორების მიერ რჩება საფრთხედ ჩვენი უსაფრთხოებისთვის. ირანი და ჩრდილოეთ კორეა განაგრძობენ ბირთვული და სარაკეტო პროგრამების შემუშავებას. სირიამ, ჩრდილოეთ კორეამ და რუსეთის ფედერაციამ არასახელმწიფო აქტორებთან ერთად, ქიმიური იარაღის გამოყენებას მიმართეს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა სწრაფად აფართოებს თავის ბირთვულ არსენალს და შეიმუშავებს უფრო რთული მიწოდების სისტემებს ისე, რომ არ ზრდის გამჭვირვალობას და კეთილსინდისიერად არ უდგება შეიარაღების კონტროლს ან რისკის შემცირებას.

19. კლიმატის ცვლილება ჩვენი დროის განმსაზღვრელი გამოწვევაა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს წევრი ქვეყნების უსაფრთხოებაზე. ის იწვევს კრიზისების და საფრთხეების რაოდენობის ზრდას. ამან შეიძლება გააღრმავოს კონფლიქტები, არასტაბილურობა და გეოპოლიტიკური კონკურენცია. ტემპერატურის მატება იწვევს ზღვის დონის აწევას, ტყის ხანძარს და უფრო ხშირი და ექსტრემალური ამინდის მოვლენებს, რაც არღვევს ჩვენი საზოგადოების ფუნქციონირებას, ძირს უთხრის ჩვენს უსაფრთხოებას და საფრთხეს უქმნის ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლესა და საარსებო წყაროს. კლიმატის ცვლილება ასევე გავლენას ახდენს ჩვენი შეიარაღებული ძალების მოქმედებაზე. ჩვენი ინფრასტრუქტურა, ძალები და ბაზები მოწყვლადია მისი გავლენის მიმართ. ჩვენს ძალებს უწევთ უფრო ექსტრემალურ კლიმატური პირობებში მოქმედება და ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს უფრო ხშირად მიმართავენ დასახმარებლად სტიქიური უბედურებების დროს.

## ნატოს მთავარი ამოცანები

### შეკავება და თავდაცვა

20. მიუხედავად იმისა, რომ ნატო წარმოადგენს თავდაცვით ალიანსს, არავის არ უნდა ეპარებოდეს ეჭვი ჩვენს ძალასა და მონდომებაში, რომ დავიცვთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ტერიტორიის ყოველ სანტიმეტრს, შევინარჩუნებთ ყველა წევრი ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ვძლევთ ნებისმიერ აგრესორს. სტრატეგიული კონკურენციის პირობებში ჩვენ გავზრდით ჩვენს გლობალურ ცნობიერებასa

და წვდომას, რათა განვახორციელოთ შეკავება, თავდაცვა, წინააღმდეგობა და აღკვეთა ყველა სფეროში და ყველა მიმართულებით, ჩვენი 360 გრადუსიანი მიდგომის შესაბამისად. ნატოს შეკავებისა და თავდაცვითი პოტენციალი ეფუძნება ბირთვული, კონვენციური და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესაძლებლობების, ასევე კოსმოსური და კიბერ შესაძლებლობების შესაბამის ნაზავს. ეს პოტენციალი არის თავდაცვითი, პროპორციული და სრულად შეესაბამება ჩვენს საერთაშორისო ვალდებულებებს. ჩვენ გამოვიყენებთ სამხედრო და არასამხედრო საშუალებებს პროპორციულად, თანმიმდევრულად და ყოვლისმომცველად, რათა რეაგირება მოვახდინოთ ჩვენი უსაფრთხოებასთან მიმართებაში არსებულ ყველა საფრთხეზე ჩვენს მიერ შერჩეული საშუალებებისა და განსაზღვრული ვადების და სფეროების მიხედვით.

21. ჩვენ მნიშვნელოვნად გავაძლიერებთ ჩვენი შეკავებისა და თავდაცვით პოტენციალს, რათა წავართვათ ნებისმიერ პოტენციურ მოწინააღმდეგეს აგრესიის პოტენციური შესაძლებლობა. ამ მიზნით, ჩვენ უზრუნველყოფთ არსებით და მუდმივ ყოფნას ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში, მათ შორის ერთობლივი ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის მეშვეობით. ჩვენ უზრუნველვყოფთ შეკავებას და თავდაცვას ტერიტორიის მისადგომებთან მუდმივი დისლოკაციის ადგილზე განლაგებული საიმედო, მრავალფუნქციური, საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ძალებით, გაუმჯობესებული მართვისა და კონტროლის მექანიზმებით, წინასწარ განლაგებული საბრძოლო მასალითა და აღჭურვილობით, გაუმჯობესებული შესაძლებლობებითა და ინფრასტრუქტურით, რათა სწრაფად გავაძლიეროთ ნატოს ნებისმიერი წევრი ქვეყანა, მათ შორის მოკლე პერიოდში ან მოულოდნელად. ჩვენ ვუზრუნველყოფთ ბალანსს მუდმივი დისლოკაციის ადგილზე განლაგებულ ძალებსა და იმ ძალებს შორის, რომელთა შევსება და გაძლიერება ხდება, შეკავებისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თავდაცვის უნარის გაძლიერების მიზნით. ჩვენს წინაშე არსებული საფრთხეების პროპორციულად ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ჩვენი შეკავებისა და თავდაცვის შესაძლებლობები დარჩეს სანდო, მოქნილი, ადაპტირებადი და მდგრადი.

22. ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი ძალების კოლექტიური მზადყოფნის, ოპერატიულობის, განლაგების, ინტეგრაციისა და შეთავსებადობის გაუმჯობესებას. ჩვენ ვუზრუნველყოფთ შეკავებისა და თავდაცვისთვის, მათ შორის ბირთვული იარაღის მქონე თანაბარი მოწინააღმდეგების წინააღმდეგ სხვადასხვა მიმართულებით მაღალი ინტენსივობის საბრძოლო ოპერაციების განსახორციელებლად, საჭირო ძალების, შესაძლებლობების, გეგმების, რესურსების, ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის სრული სპექტრის ინდივიდუალურად და კოლექტიურად მიწოდებას. ჩვენ უზრუნველვყოფთ სანდო, მდგრად და ინტეგრირებულ სამხედრო სტრუქტურას, გავაუმჯობესებთ ეროვნული თავდაცვის გეგმების შესაბამისობას ნატოს თავდაცვის გეგმებთან და ნატოს გაერთიანებული ძალების სტრუქტურის გაძლიერებასა და მოდერნიზებას მოვახდენთ. ჩვენ გავააქტიურებთ წვრთნებსა და მომზადებას, მოვახდენთ გადაწყვეტილებების მიღების

პროცესის ადაპტირებასა და ოპტიმიზებას, გავაუმჯობესებთ ჩვენს დაგეგმვას და გავზრდით კრიზისზე რეაგირების სისტემის ეფექტურობას.

23. საზღვაო უსაფრთხოება ჩვენთვის წარმოადგენს მშვიდობისა და კეთილდღეობის გასაღებს. ჩვენ გავზრდით ჩვენს პოტენციალს და სიტუაციურ ცნობიერებას ყველა საზღვაო საფრთხის შეკავებისა და მათგან თავდაცვის, ნაოსნობის თავისუფლების, საზღვაო სავაჭრო გზების უსაფრთხობისა და ჩვენი კომუნიკაციის ძირითადი არხების დაცვის მიზნით.

24. ჩვენ დავაჩქარებთ ჩვენს ციფრულ ტრანსფორმაციას, მოვახდენთ ნატოს სამხედრო სტრუქტურის ინფორმაციის ეპოქასთან ადაპტირებას და გავაუმჯობესებთ ჩვენს კიბერთავდაცვას, ქსელებსა და ინფრასტრუქტურას. ჩვენ წავახალისებთ ინოვაციებს და გავზრდით ინვესტიციებს ახალ და გამრღვევ, ინოვაციურ ტექნოლოგიებში, რათა შევინარჩუნოთ ჩვენი შეთავსებადობა და სამხედრო უპირატესობა. ჩვენ ერთად ვიმუშავებთ ახალი ტექნოლოგიების მიღებისა და ინტეგრირების, კერძო სექტორთან თანამშრომლობის, ჩვენი ინოვაციური ეკოსისტემების დაცვის, სტანდარტების დადგენისა და ჩვენი დემოკრატიული ფასეულობებისა და ადამიანის უფლებების ამსახველი პასუხისმგებლიანი გამოყენების პრინციპების დაცვის მიზნით.

25. კოსმოსსა და კიბერსივრცეზე შეუფერხებელი წვდომისა და უსაფრთხო გამოყენების უზრუნველყოფას საკვანძო მნიშვნელობა აქვს ეფექტური შეკავებისა და თავდაცვის უზრუნველსაყოფად. ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს უნარს ეფექტურად ვიმოქმედოთ კოსმოსსა და კიბერსივრცეში, რათა თავიდან ავიცილოთ, აღმოვაჩინოთ, დავუპირისპირდეთ და რეაგირება მოვახდინოთ საფრთხეების სრულ სპექტრზე ყველა არსებული ინსტრუმენტის გამოყენებით. ერთჯერადმა მავნე კიბერაქტივობებმა ან მათმა ერთობლიობამ ან მტრულმა ოპერაციებმა, რომლებიც ხორციელდება კოსმოსის მიმართულებით, კოსმოსიდან ან კოსმოსში, შეიძლება გამოიწვიოს შეიარაღებული თავდასხმა და ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მიერ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის გამოყენება. ჩვენ ვაღიარებთ საერთაშორისო სამართლის გამოყენებას და წავახალისებთ პასუხისმგებლურ ქცევას კიბერსივრცესა და კოსმოსში. ჩვენ ასევე გავზრდით კოსმოსის და კიბერ შესაძლებლობების მდგრადობას, რომელზეც დამოკიდებულია ჩვენი კოლექტიური თავდაცვა და უსაფრთხოება.

26. ჩვენ მივყვებით უფრო მტკიცე, ყოვლისმომცველ და თანმიმდევრულ მიდგომას ნატოს წევრი ქვეყნებისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დონეზე მდგრადობის ასამაღლებლად სამხედრო და არასამხედრო საფრთხეებისა და ჩვენი უსაფრთხოების გამოწვევების მიმართ, როგორც მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ეროვნულ პასუხისმგებლობასა და კოლექტიურ ვალდებულებას. ჩვენ ვიმუშავებთ სტრატეგიული მოწყვლადობისა და დამოკიდებულების გამოვლენისა და შერბილების კუთხით, მათ შორის ჩვენს კრიტიკულ ინფრასტრუქტურასთან, მიწოდების ჯაჭვებთან და ჯანდაცვის სისტემებთან მიმართებაში. ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და განვახორციელებთ ინვესტირებას ენერგორესურსების

სტაბილური და სანდო მიწოდების, მიმწოდებლებისა და წყაროების უზრუნველსაყოფად. ჩვენ უზრუნველვყოფთ სამოქალაქო მზადყოფნას სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირების უწყვეტობის, ჩვენი მოსახლეობისთვის ძირითადი სერვისების მიწოდებისა და ჩვენი შეიარაღებული ძალებისთვის სამოქალაქო მხარდაჭერის გაწევის მიზნით. ჩვენ გავაუმჯობესებთ ჩვენს შესაძლებლობებს, რათა მოვემზადოთ, წინ აღვუდგეთ, რეაგირება მოვახდინოთ და სწრაფად დავუბრუნდეთ ჩვეულ მდგომარეობას სტრატეგული რყევებისა და შეფერხებების შემდეგ და უზრუნველვყოთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საქმიანობის უწყვეტობა.

27. ჩვენ ინვესტირებას მოვახდენთ ჩვენს შესაძლებლობაში, მოვამზადოთ, შევაკავოთ და დავიცვათ თავი სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მიერ განხორციელებული იძულებითი პოლიტიკური, ეკონომიკური, ენერგეტიკული, საინფორმაციო და სხვა ჰიბრიდული ტაქტიკებისგან. წევრი ქვეყნების წინააღმდეგ განხორციელებულმა ჰიბრიდულმა ოპერაციებმა შეიძლება მიაღწიოს შეიარაღებული თავდასხმის დონეს და გამოიწვიოს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მიერ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის გამოყენება. ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერას ჰიბრიდულ გამოწვევებთან გამკლავებაში და ვისწრაფვით მაქსიმალური ჩართულობისკენ სხვა შესაბამის აქტორებთან ერთად, როგორიცაა ევროკავშირი.

28. ნატოს ბირთვული შესაძლებლობების ძირითადი მიზანია მშვიდობის შენარჩუნება, იძულების თავიდან აცილება და აგრესიის შეკავება. ბირთვული იარაღი უნიკალურია. გარემოებები, რომლებშიც ნატოს ბირთვული იარაღის გამოყენება მოუწევს, უკიდურესად ნაკლებსავარაუდოა. ნატოს წინააღმდეგ ბირთვული იარაღის ნებისმიერი გამოყენება ძირეულად შეცვლიდა კონფლიქტის ხასიათს. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს გააჩნია ძალა და საშუალებები, რომ მოწინააღმდეგეს დააკისროს ის ხარჯები, რომლებიც მიუღებელი იქნება და ბევრად აღემატება იმ სარგებელს, რომლის მიღებასაც ნებისმიერი მოწინაღმდეგე იმედოვნებდა.

29. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების, სტრატეგიული ბირთვული ძალები, წარმოადგენს ნატოს წევრი ქვეყნების უსაფრთხოების უმაღლეს გარანტიას. გაერთიანებული სამეფოსა და საფრანგეთის დამოუკიდებელი სტრატეგიული ბირთვული ძალები თავიან როლს ასრულებენ შეკავებაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ზოგადად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოებაში. ნატოს ამ ქვეყნების გადაწყვეტილების მიმღებ ცალკეული ცენტრებს თავიანთი წვლილი შეაქვთ შეკავებაში ართულებენ რა პოტენციური მოწინააღმდეგეების გამოთვლებს. ნატოს ბირთვული შეკავების ტაქტიკას ასევე განაპირობებს ევროპაში მოწინავე ზონებში განლაგებული აშშ-ს ატომური იარაღი და შესაბამისი წევრი ქვეყნების მიერ შეტანილი წვლილი. ნატოს ბირთვული შეკავების მისიის განხორციელებაში ცენტრალური ადგილი კვლავაც წევრი ქვეყნების მიერ მოწოდებულ ორმაგი დანიშნულების საფრენ აპარატებს უკავია.

30. ნატო მიიღებს ყველა საჭირო ზომას ბირთვული შეკავების მისიის სანდოობის, ეფექტურობის, დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მოწოდებულია უზრუნველყოს უფრო მეტი ინტეგრაცია და შესაძლებლობებისა და ქმედებების თანმიმდევრულობა ყველა სფეროსა და კონფლიქტების სპექტრის მასშტაბით, ადასტურებს რა ბირთვული შეკავების უნიკალურ და განსაკუთრებულ როლს. ნატო გააგრძელებს სანდო შეკავების შენარჩუნებას, გააძლიერებს სტრატეგიულ კომუნიკაციებს, გაუმჯობესებს წვრთნების ეფექტურობას და შეამცირებს სტრატეგიულ რისკებს.

31. ჩვენ გავაგრძელებთ ინვესტირებას ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული საფრთხეებისგან ჩვენს თავდაცვაში. ჩვენ გავაუმჯობესებთ ჩვენს პოლიტიკას, გეგმებს, წვრთნებსა და სწავლებას და შევაფასებთ ჩვენს შესაძლებლობებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს მოთხოვნები ინტეგრირებულია ჩვენი შეკავებისა და თავდაცვის პოტენციალში.

32. სტრატეგიული სტაბილურობა, რომელიც უზრუნველყოფილია ეფექტური შეკავებისა და თავდაცვის, შეიარაღების კონტროლისა და განიარაღების, კონსტრუქციული და ორმხრივი პოლიტიკური დიალოგის მეშვეობით, კვლავინდებურად ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი უსაფრთხოებისთვის. შეიარაღების კონტროლი, განიარაღება და გაუვრცელებლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიზნების მიღწევაში. შეიარაღების კონტროლისკენ, განიარაღებისა და გაუვრცელებლობისკენ ნატოს წევრი ქვეყნების მიერ მიმართული ძალისხმევა მიზნად ისახავს რისკების შემცირებასა და უსაფრთხოების გაუმჯობესებას, ასევე გამჭვირვალობის, გადამოწმებისა და შესაბამისობის უზრუნველყოფას. ჩვენ გამოვიყენებთ სტრატეგიული რისკის შერბილების ყველა ელემენტს, მათ შორის ნდობისა და პროგნოზირებადობის ხელშეწყობას დიალოგის გზით, გაგების ზრდასა და ეფექტური კრიზისების მართვისა და პრევენციის ინსტრუმენტების შექმნას. ეს ძალისხმევა გაითვალისწინებს არსებული უსაფრთხოების გარემოს და ნატოს ყველა წევრი ქვეყნის უსაფრთხოებას და შეავსებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შესაძლებლობებს შეკავებისა და თავდაცვის კუთხით. ჩვენ გამოვიყენებთ ნატოს, როგორც პლატფორმას იარაღის კონტროლის ძალისხმევასთან დაკავშირებული სიღრმისეული დისკუსიებისა და მჭიდრო კონსულტაციების გასამართავად.

33. ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ წარმოადგენს ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ მიმართულ ყველაზე მნიშვნელოვან საყრდენს და ჩვენ მტკიცედ ვრჩებით მისი სრული განხორციელების (VI მუხლის ჩათვლით) ერთგულნი. ნატოს მიზანია შექმნას უსაფრთხოების გარემო ბირთვული იარაღისგან თავისუფალი მსოფლიოსთვის, რომელიც შესაბამისობაში იქნება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების მიზნებთან.

34. ტერორიზმთან ბრძოლას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კოლექტიური თავდაცვისთვის. ნატოს როლი ტერორიზმთან ბრძოლაში ხელს უწყობს სამივე ამოცანის შესრულებას და წარმოადგენს შეკავებისა და თავდაცვისადმი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 360 გრადუსიანი მიდგომის განუყოფელ ნაწილს. ტერორისტული ორგანიზაციები საფრთხეს უქმნიან ჩვენი ხალხის, ძალებისა და ტერიტორიის უსაფრთხოებას. ჩვენ გავაგრძელებთ წინააღმდეგობას, შეკავებას, დაცვასა და რეაგირებას ტერორისტული ჯგუფებისა და მომდინარე საფრთხეებისა და გამოწვევების მიმართ პრევენციის, დაცვისა და აღკვეთის ღონისძიებათა კომბინაციის გამოყენებით. ჩვენ გავაძლიერებთ თანამშრომლობას საერთაშორისო საზოგადოებასთან, მათ შორის გაეროსა და ევროკავშირთან, ტერორიზმის გავრცელების ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით.

## კრიზისების პრევენცია და მართვა

35. ნატოს ქვეყნების საერთო ინტერესია ერთობლივი ძალებით სტაბილურობის უზრუნველყოფა და კონფლიქტების მოგვარება ნატოს მეშვეობით. ჩვენ გავაგრძელებთ კრიზისების პრევენციას, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოებაზე, და მათზე რეაგირებას. ჩვენ დავეყრდნობით იმ უნიკალურ შესაძლებლობებსა და გამოცდილებას, რომლებიც მივიღეთ კრიზისის მართვის სფეროში. ამ მიზნით რეგულარული წვრთნების მეშვეობით ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ კრიზისზე რეაგირებას, მზადყოფნასა და მართვას და გამოვიყენებთ ჩვენს შესაძლებლობებს მრავალეროვნულ კრიზისზე რეაგირების ოპერაციების კოორდინაციის, განხორციელების, უზრუნველყოფისა და ხელშეწყობის, მათ შორის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მიზნით.

36. ჩვენ უზრუნველვყოფთ რესურსებს, შესაძლებლობებს, მომზადებასა და მართვისა და კონტროლის მექანიზმებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სამხედრო და სამოქალაქო კრიზისების მართვის, სტაბილიზაციისა და კონტრტერორისტული ოპერაციების განლაგების, მათ შორის სტრატეგიულ დისტანციებზე, და უზრუნველყოფის მიზნით. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, მათ შორის ავღანეთში განხორციელებული ჩვენი ოპერაციებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი მზადყოფნის, სამხედრო და სამოქალაქო შესაძლებლობების გაუმჯობესებას და სამოქალაქო-სამხედრო დაგეგმვასა და კოორდინაციას. ჩვენ კიდევ უფრო განვავითარებთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უნარს, ხელი შეუწყოს სამოქალაქო კრიზისების მართვისა და დახმარების ოპერაციებს და ასევე მოემზადოს იმ გავლენისთვის, რაც შეიძლება კლიმატის ცვლილებამ, სასურსათო დაუცველობამ და ჯანდაცვის სფეროში საგანგებო სიტუაციებმა იქონიოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოებაზე. ეს საშუალებას მოგვცემს სწრაფად მოვახდინოთ რეაგირებ ნებისმიერ გაუთვალისწინებელ გარემოებაზე.

37. პარტნიორებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ნატოს ხელმძღვანელობით განხორციელებულ კრიზისის მართვაში. ჩვენ გავაგრძელებთ მდგრადი პოლიტიკური ჩართულობისა და სამხედრო თავსებადობის უზრუნველყოფას პარტნიორებთან, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს მონაწილეობა მიიღონ ჩვენს მისიებსა და ოპერაციებში.

38. ჩვენ გავაძლიერებთ ძალისხმევის განხორციელებას კრიზისებისა და კონფლიქტების წინასწარ განჭვრეტისა და თავიდან აცილების მიზნით. პრევენცია წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში წვლილის შეტანის მდგრად საშუალებას. ჩვენ გავზრდით ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერას, მათ შორის ტერორიზმთან ბრძოლასა და საერთო გამოწვევების დაძლევასთან დაკავშირებით მათი შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით. ჩვენ გავაფართოვებთ ჩვენს სამეზობლოსა და მის ფარგლებს გარეთ მოწყვლადი პარტნიორებისთვის გასაწევი დახმარების მასშტაბებსა და მოცულობას მათი მზადყოფნისა და გამძლეობის გაზრდისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, რათა წინ აღუდგნენ მავნე ჩარევას, თავიდან აიცილონ დესტაბილიზაცია და წინააღმდეგობა გაუწიონ აგრესიას.

39. ადამიანის უსაფრთხოება, მათ შორის მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა და მშვიდობიანი მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის შერბილება ცენტრალურ ადგილს იკავებს ჩვენს მიდგომაში კრიზისის პრევენციისა და მართვის მიმართ. ჩვენ ვითანამშრომლებთ სხვა საერთაშორისო აქტორებთან უფრო ფართო პირობების გადასაჭრელად, რომლებიც აღვივებს კრიზისებს და ფართოდ გავრცელებულ არასტაბილურობას და ხელს შევუწყობთ სტაბილიზაციასა და აღდგენას. ჩვენ გავაუმჯობესებთ გავაძლიერებთ ჩვენს კოორდინაციასა და თანამშრომლობას გაეროსა და ევროკავშირთან ისევე, როგორც სხვა რეგიონულ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და აფრიკის კავშირი.

**თანამშრომლობითი უსაფრთხოება**

40. ნატოს გაფართოება ისტორიულ წარმატებად იქცა. მან გააძლიერა ჩვენი ალიანსი, უზრუნველყო მილიონობით ევროპელი მოქალაქის უსაფრთხოება და ხელი შეუწყო მშვიდობასა და სტაბილურობას ევროატლანტიკურ რეგიონში. ჩვენ ვადასტურებთ ჩვენი ღია კარის პოლიტიკას, რომელიც შესაბამისობაშია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-10 მუხლთან, როგორც ჩვენი ფუნდამენტური ფასეულობებისა და ევროატლანტიკურ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მიმართ სტრატეგული ინტერესის გამოხატულებას. ჩვენი კარი ღია რჩება ყველა ევროპული დემოკრატიისათვის, რომლებიც იზიარებენ ჩვენი ალიანსის საერთო ფასეულობებს, რომლებსაც სურთ და შეუძლიათ აიღონ წევრობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა და ვალდებულებები და რომელთა წევრობას წვლილი შეაქვს ჩვენს საერთო უსაფრთხოებაში. წევრობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ ნატოს წევრი ქვეყნები, რომელიმეს მონაწილეობის გარეშეან მესამე მხარე ამ პროცესში ისე რომ ამ პროცესში არ მონაწილეობს რომელიმე მესამე მხარე.

41. ევროატლანტიკური ალიანსის წევრობის მსურველი ქვეყნების უსაფრთხოება გადაჯაჭვულია ჩვენს უსაფრთხოებასთან. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს მათ დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ გავაძლიერებთ პოლიტიკურ დიალოგს და თანამშრომლობას მათთან, რომლებიც მიზნად ისახავენ ალიანსში გაწევრიანებას, ხელს შევუწყობთ, გააძლიერონ მედეგობა გარე ძალების მავნე ჩარევასთან მიმართებაში, გააძლიერონ თავისი შესაძლებლობები და გავზრდით ჩვენს პრაქტიკულ მხარდაჭერის მათი ევროატლანტიკური მისწრაფებების წინსვლისთვის. ჩვენ გავაგრძელებთ პარტნიორობის განვითარებას ბოსნია და ჰერცეგოვინასთან, საქართველოსა და უკრაინასთან, რათა გავაძლიეროთ ჩვენი საერთო ინტერესი ევროატლანტიკური მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიმართ. ჩვენ ვადასტურებთ ერთგულებას 2008 წელს ბუქარესტში გამართულ სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებისადმი და ყველა შემდგომი გადაწყვეტილებისადმი საქართველოსა და უკრაინის მიმართ.

42. პოლიტიკური დიალოგი და პრაქტიკული თანამშრომლობა პარტნიორებთან, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემასა და ორმხრივ სარგებელზე, ხელს უწყობს სტაბილურობას ჩვენს საზღვრებს მიღმა, აძლიერებს ჩვენს უსაფრთხოებას ჩვენს ტერიტორიაზე და ხელს უწყობს ნატოს ძირითადი ამოცანების შესრულებას. პარტნიორულ ურთიერთობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთო ქონების დაცვის, ჩვენი მედეგობის გაძლიერებისა და წესებზე დამყარებული საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნების თვალსაზრისით.

43. ევროკავშირი წარმოადგენს ნატოს უნიკალურ და მნიშვნელოვან პარტნიორს. ნატოს ქვეყნები და ევროკავშირის წევრები ერთნაირ ფასეულობებს იზიარებენ. ნატო და ევროკავშირი ასრულებენ შემავსებელ, თანმიმდევრულ და ურთიერთგამძლიერებელ როლს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ხელშეწყობის კუთხით. ჩვენი ხანგრძლივი პარტნიორობის საფუძველზე ჩვენ გავაძლიერებთ ნატო-ევროკავშირის სტრატეგიულ პარტნიორობასა და პოლიტიკურ კონსულტაციებს და გავაფართოვებთ თანამშრომლობას საერთო ინტერესის საკითხებზე, როგორებიცაა სამხედრო მობილურობა, მედეგობა, კლიმატის ცვლილების გავლენა უსაფრთხოებაზე, ახალი და ინოვაციური ტექნოლოგიები, ადამიანის უსაფრთხოება, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი, ასევე კიბერ და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის შექმნილი სისტემური გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლა. ნატოსა და ევროკავშირს შორის სტრატეგიული პარტნიორობის განვითარებისთვის აუცილებელია არაევროკავშირის წევრი ნატოს ქვეყნების სრული ჩართულობა ევროკავშირის მიერ განხორციელებულ თავდაცვით ძალისხმევაში. ნატო აღიარებს უფრო ძლიერი და უნარიანი ევროპული თავდაცვის ღირებულებას, რომელსაც დადებითი წვლილი შეაქვს ტრანსატლანტიკურ და გლობალურ უსაფრთხოებაში, ავსებს ნატოს და თავსებადია მასთან. თავდაცვის ხარჯების გაზრდას, თანმიმდევრული, ურთიერთგამძლიერებელი ძალებისა და

საშუალებების შექმნასთან დაკავშირებული ინიციატივებსა და ამავდროულად და ზედმეტი დუბლირების თავიდან აცილებას, საკვანძო მნიშვნელობა აქვს ევროატლანტიკური ზონის უსაფრთხოების გაუმჯობესებისკენ მიმართული ჩვენი ერთობლივი ძალისხმევის განსახორციელებლად.

44. ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს კავშირებს პარტნიორებთან, რომლებიც იზიარებენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ღირებულებებსა და წესებზე დამყარებული საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებით დაინტერესებას. ჩვენ გავაძლიერებთ დიალოგსა და თანამშრომლობას, რათა დავიცვათ ეს წესრიგი, შევინარჩუნოთ ჩვენი ფასეულობები და დავიცვათ სისტემები, სტანდარტები და ტექნოლოგიები, რომლებზეც არიან ისინი დამოკიდებული. ჩვენ გავაფართოვებთ კონტაქტებს უფრო ფართო მეზობელ რეგიონებში მდებარე ქვეყნებთან და მთელი მსოფლიოს მასშტაბით და კვლავინდებურად ვიქნებით ღია ნებისმიერ ქვეყანასთან ან ორგანიზაციასთან ურთიერთქმედებისთვის, როდესაც ამან შეიძლება გაამყაროს ჩვენი ორმხრივი უსაფრთხოება. ჩვენი მიდგომა დარჩება ინტერესებზე ორიენტირებული, მოქნილი, საერთო საფრთხეებისა და გამოწვევების მოგვარებისკენ მიმართული და ცვალებად გეოპოლიტიკურ რეალობის მიმართ ადაპტირებადი.

45. დასავლეთ ბალკანეთისა და შავი ზღვის რეგიონს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ალიანსისთვის. ჩვენ კვლავ დავუჭერთ მხარს ამ რეგიონების დაინტერესებული ქვეყნების ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. ჩვენ გავზრდით ძალისხმევას, რათა გავაძლიეროთ მათი შესაძლებლობები, გაუმკლავდნენ მათ წინაშე არსებულ სხვადასხვა საფრთხეებსა და გამოწვევებს და გავაუმჯობესებთ მათ მდგრადობას მესამე მხარის მავნე ჩარევისა და იძულების მიმართ. ჩვენ ვითანამშრომლებთ პარტნიორებთან რეგიონებში, რომლებიც ევროატლანტიკური ალიანსის სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს, მათ შორის შუა აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკასა და საჰელის რეგიონებში, უსაფრთხოების საერთო საფრთხეებისა და გამოწვევების გადაჭრის მიზნით. ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონი მნიშვნელოვანია ნატოსთვის იმის გათვალისწინებით, რომ ამ რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა შეიძლება პირდაპირ იმოქმედოს ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაზე. ჩვენ გავაძლიერებთ დიალოგსა და თანამშრომლობას ახალ და არსებულ პარტნიორებთან ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში რეგიონთაშორისი საკითხების გადაჭრისა და უსაფრთხოების საერთო ინტერესების დაცვის მიზნით.

46. ნატო უნდა გახდეს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია იმ მხრივ, რაც ეხება უსაფრთხოებაზე კლიმატის ცვლილების გავლენის გააზრებას და მასთან ადაპტაციას. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უხელმძღვანელებს თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე კლიმატის ცვლილების შედეგების შეფასებისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების გადაჭრის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს. ჩვენ წვლილს შევიტანთ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში სათბურის გაზების ემისიების შემცირების, ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების, სუფთა ენერგიაზე გადასვლაში

ინვესტირებისა და მწვანე ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით, უზრუნველვყოფთ რა სამხედრო ეფექტურობასა და სანდო შემაკავებელ და თავდაცვით შესაძლებლობებს.

## ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უწყვეტი წარმატების უზრუნველყოფა

47. ნატო-ში ინვესტირება არის საუკეთესო გზა ევროპულ და ჩრდილოეთ ამერიკის წევრ ქვეყნებს შორის ძლიერი კავშირის უზრუნველსაყოფად და ამავდროულად გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობისთვის. ჩვენ გავაგრძელებთ პოლიტიკური ერთიანობისა და სოლიდარობის განმტკიცებას და გავაფართოვებთ და გავაღრმავებთ ჩვენს კონსულტაციებს ყველა საკითხის გადასაჭრელად, რომლებიც გავლენას ახდენს ჩვენს უსაფრთხოებაზე. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, გავააქტიუროთ კონსულტაციები, როდესაც საფრთხე ემუქრება ნატოს რომელიმე წევრი ქვეყნის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ან როდესაც რისკის ქვეშ დგება ჩვენი ფუნდამენტური ღირებულებები და პრინციპები.

48. ჩვენ სამართლიანად გავინაწილებთ მოვალეობებსა და რისკებს ჩვენი თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ჩვენ უზრუნველვყოფთ ყველა საჭირო რესურსს, ინფრასტრუქტურას, ძალებსა და საშუალებებს ჩვენი ძირითადი ამოცანების სრულად შესასრულებლად და ჩვენი გადაწყვეტილებების განსახორციელებლად. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ჩვენმა ქვეყნებმა სრულად შეასრულონ თავდაცვაში საინვესტიციო ვალდებულებები საჭირო ძალებისა და საშუალებების სრული სპექტრის წარმოდგენის მიზნით. ჩვენ დავეყრდნობით მიღწეულ პროგრესს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეროვნული თავდაცვის ხარჯების ზრდა და ნატოს მთლიანი დაფინანსება შეესაბამებოდეს უსაფრთხოების უფრო სადავო წესრიგის გამოწვევებს.

49. ნატო შეუცვლელია ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის. ის მშვიდობის, თავისუფლებისა და კეთილდღეობის გარანტიას გვაძლევს. ჩვენ, როგორც წევრი ქვეყნები, გავაგრძელებთ გაერთიანებას ჩვენი უსაფრთხოების, ფასეულობებისა და დემოკრატიული ცხოვრების წესის დასაცავად.



www.nato.int/strategic-concept/
#StrategicConcept